

შპს „აგრომაქს დეკორი“-426522337

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის



შპს "აგრომაქს დეკორი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)	შენიშვნა	2019	2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	652 077,82	473 112,90
არამატერიალური აქტივები	5	6 259,68	5 435,10
საინვესტიციო ქონება	10		
სულ გრძელვადიანი აქტივები		658 337,50	478 548,00
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუქტურა	6	447 355,51	66 217,98
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	488 227,76	826 405,00
მარაგები	8	371 709,75	296 186,06
წინასწარ გადახდილი გადასახადები			201 507,87
ბიოლოგიური აქტივები		4 237 853,40	3 798 374,94
სულ მოკლევადიანი აქტივები		5 545 146,42	5 188 691,85
სულ აქტივები		6 203 483,92	5 667 239,85
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		531 862,60	531 862,60
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		5 255 984,68	4 330 741,19
გადაფასების რეზერვი			
სულ კაპიტალი		5 787 847,28	4 862 603,79
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	406 643,79	804 636,06
საგადასახადო ვალდებულებები		8 992,85	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		415 636,64	804 636,06
სულ ვალდებულებები		415 636,64	804 636,06
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		6 203 483,92	5 667 239,85



Handwritten signature in blue ink.

შპს "აგრომაქს დეკორი"

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2019 წლის დასრულებული წლისათვის (ლარში)

	შენიშვნა	2019
ამონაგები	<u>12</u>	3 588 764
თვითღირებულება	<u>13</u>	(1 910 891)
საერთო მოგება		1 677 873
სხვა შემოსავლები		201 779
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	<u>16</u>	(703 215)
მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები	<u>14</u>	(121 840)
სხვა ხარჯები	<u>15</u>	(69 596)
საოპერაციო მოგება		985 002
ფინანსური შემოსავალი	<u>17</u>	(18 160)
ფინანსური ხარჯი		(41 598)
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		925 243
მოგება დაბეგვრამდე		
მოგების გადასახადი	<u>18</u>	925 243
წმინდა მოგება		
სხვა სრული შემოსავალი:		
გადაფასების რეზერვი		925 243
მთლიანი სრული შემოსავალი		925 243



შპს "აგრომაქს დეკორი"

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2018
წლის დასრულებული წლისათვის
(ლარი)

	შენიშვნა	2018
ამონაგები	<u>12</u>	3 179 620
თვითღირებულება	<u>13</u>	(1 335 935)
საერთო მოგება		1 843 685
სხვა შემოსავლები		6 221
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	<u>16</u>	(605 515)
მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები	<u>14</u>	(98 791)
სხვა ხარჯები	<u>15</u>	(93 315)
საოპერაციო მოგება		1 052 285
ფინანსური შემოსავალი		1 217
ფინანსური ხარჯი	<u>17</u>	(22 831)
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		18 852
მოგება დაბეგვრამდე		1 049 523
მოგების გადასახადი	<u>18</u>	
წმინდა მოგება		1 049 523
სხვა სრული შემოსავალი:		
გადაფასების რეზერვი		
მთლიანი სრული შემოსავალი		1 049 523



შპს "აგრომაქს დეკორი"

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 31 დეკემბერი	531 863		4 330 741,00	4 862 604
წმინდა მოგება	-	-	925 243	925 243
სხვა სრული შემოსავალი	-	-		-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-		-
გაცემული დივიდენდი	-	-		-
საწესდებო კაპიტალის ზრდა		-	5 255 984	5 787 847
2019 წლის 31 დეკემბერი	531 863			



შენიშვნა-8

მარაგები

	31/12/2019	31/12/2018
ლარში	50 194	50 264
ნედლეული	13 550	45 168
დაუმთავრებელი წარმოება	4 237 853	3 798 375
ბიოლოგიური აქტივი	307 965	200 755
სხვა მარაგები	4 609 563	4 094 561

Check

შენიშვნა-7

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	31/12/2019	31/12/2018
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	563 923	881 572
საეჭვო ვალების ანარიცხების რეზერვი	(104 987)	(86 023)
წინასწარ გადახდილი გადასაადები		201 508
სხვა მოთხოვნები	29 291	30 856
	488 228	1 027 913

Check

შენიშვნა-6

ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

	31/12/2019	31/12/2018
ლარში	8 442	8 738
ფული სალაროში	438 914	57 480
ფული საბანკო ანგარიშებზე	447 356	66 218

Check

შენიშვნა-9

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31/12/2019	31/12/2018
ლარში	335 063	738 029
სავაჭრო ვალდებულებები	69 423	66 407
გადასახელი ხელფასები	8 993	
საგადასახადო ვალდებულებები	2 157	200
სხვა ვალდებულებები	415 637	804 636



შენიშვნა-12

ამონაგები

ლარი	31/12/2019
მზა პროდუქციის რეალიზაცია	3 330 876
ნედლეულის რეალიზაცია	257 888
მომსახურების რეალიზაცია	3 588 764
Check	-

შენიშვნა-13

თვითღირებულება

ლარი	31/12/2019
მზა პროდუქციის თვითღირებულება	1 799 391
ნედლეულის თვითღირებულება	111 500
მომსახურების თვითღირებულება	1 910 891
Check	-

შენიშვნა-14

მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები

	31/12/2019
სარეკლამო ხარჯები	6 534
საწვავის ხარჯი	57 036
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი	27 634
რეალიზაციის დანახარჯები	30 636
Check	121 840

შენიშვნა-15

სხვა ხარჯები

ლარი	31/12/2019
დებიტორული დავალიანების რეზერვის ხარჯი	18 964
გასაყიდად გამოუსყადაღარი მასალების ჩამოწერის ხარჯი	47 049
ქონების გადასახადი	3 583
Check	69 596

შენიშვნა-16

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ლარი	31/12/2019
შრომის ანაზღაურება	497 205
ცვლილება და ამორტიზაცია	60 486
ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯი	34 309
საკონსულტაციო ხარჯი	2 648
ბანკის მომსახურება	15 863
მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები	53 604
დაზღვევის ხარჯი	4 154
მივლინების ხარჯები	8 039
ნოტარიუსის .თარგამნის ხარჯი	2 283
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	22 538
კომუნიკაციის ხარჯები	2 086
Check	703 215

შენიშვნა-17

ფინანსური ხარჯი

ლარი	31/12/2019
საკურსო სხვაობა	41 598
სხვა ფინანსური ხარჯები	18 160
	59 758



შენიშვნა -4
ძირითადი საშუალებები

	შენიშვნა - ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	კომპიუტერუ ლი ტექნიკა	მიწა	დაუმონტაჟებელი მოწყობილობები	ჯამი
ლარი								
2018 წლის ბოლოს მდგომარეობით	128 667	186 400	5 995	36 735	6 840	167 869	39 632	572 139
შესყიდვა	9 235	13 934	880	51 830	4 623	198 228	41	278 771
გასვლა								
გაუფასურება								
შიდა ჯგუფური რეკლასიფიკაცია								
გადაფასების რეზერვი								
2019 წლის ბოლოს მდგომარეობით	137 903	200 335	6 874	88 565	11 463	366 097	0	811 237
დაგროვილი ცვეთა								
2018 წლის ბოლოს მდგომარეობით	17 391	61 520	2 412	14 026	3 678			99 026
ცვეთის ხარჯი	12 824	28 491	1 487	15 244	2 086			60 132
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა								
2019 წლის ბოლოს მდგომარეობით	30 215	90 011	3 899	29 270	5 764	-	-	159 159
საბალანსო ღირებულება								
2018 წლის ბოლოს	111 276	124 880	3 583	22 709	3 162	167 869	39 632	473 113
2019 წლის ბოლოს	107 687	110 323	2 976	59 295	5 699	366 097	0	652 078

შენიშვნა-5
არამატერიალური აქტივები

	პროგრამები	ლიცენზიები	ჯამი
ლარი			
2018 წლის ბოლოს	5 435		5 435
შემოსავლა	1 178		1 178
გასვლა			-
2019 წლის ბოლოს	6 613	-	6 613
ლიცენზიები			
2018 წლის ბოლოს		353	353
პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი			
გასულის დაგროვილი ამორტიზაცია			
2019 წლის ბოლოს		353	353
ლიცენზიები			
2018 წლის ბოლოს	5 435	-	5 435
2019 წლის ბოლოს	6 260	-	6 260



შპს აგრომაქს დეკორის 2019 წლის ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „აგრომაქს დეკორი“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2013 წლის 6 დეკემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 426522337 კომპანიის იურიდიული/ფაქტიური მისამართია: გარდაბნის რაიონი სოფელი სართიჭალა.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა ყვავილებით, მცენარეებით, თესლით, სასუქებით, შინაური ცხოველებით და შინაური ცხოველების საკვებით სპეციალიზებულ მაღაზიებში, შერეული სოფლის მეურნეობა.

კომპანიის წილის მფლობელები არიან: 95% იანი წილის მფლობელი ვოიციხ არტურ გრაბჩევსკი და 5 % სერგეი ზარემბო.

კომპანიის დირექტორია ვოიციხ არტურ გრაბჩევსკი -პ/ნ 01101123308
2019 წელს კომპანიის საშუალო თანამშრომლების რაოდენობა იყო 37 ადამიანი.

1. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, საწარმო აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს;

მსს ფასს სტანდარტების პირველადი გამოყენება

კომპანია მსს ფასს სტანდარტებზე გადავიდა 2018 წლის 1 იანვარს, კომპანია წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, 2018 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე 2018 წლის საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას და 2018 წლის კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგებას, ასევე შესაბამის ახსნა განმარტებით შენიშვნებს;

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა
თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.



(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2019 წლის 31 დეკემბერს და 2018 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2,6766	3,0701
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2,8677	3,2095

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები:

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ტერმინების განმარტებები:

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას. ფინანსური აქტივი ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი სახეობაა. კომპანია ფინანსური აქტივების სახით ფლობს, მსს ფასს 11 განყოფილების „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტების“ თანახმად, შემდეგ ძირითად ფინანსურ ინსტრუმენტებს:

ა) რეზიდენტი ბანკების საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს;

და

ბ) 3 თვემდე მოთხოვნამდე და 12 თვემდე ფიქსირებულვადიანი დეპოზიტების საბანკო ანგარიშებს რეზიდენტ ბანკებში.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფების მიხედვით.

კომპანია იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.



თავდაპირველად ფინანსური აქტივები ფასდება თვითღირებულებით. ფინანსური აქტივების თვითღირებულება არის ოპერაციის/გარიგების ფასი გარიგების დანახარჯების ჩათვლით.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც, აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს გასდის ვადა.

ფინანსური ვალდებულებები, აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით.

ვალდებულებების პირვანდელი ღირებულება არის მიღებული არაფულადი აქტივების რეალური ღირებულება ვალდებულების წარმოქმნის მომენტისათვის, რომლის სანაცვლო ფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა;

ან, მიღებული ფულადი სახსრების ოდენობა, რომლის სანაცვლო არაფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა;

ან, ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, მოგების გადასახადისათვის), იმ ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, რომლის საწარმოდან გასვლა მოსალოდნელია ვალდებულების დასაფარავად საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მაშინ, როცა ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. საკუროს სხვაობა ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადაფარვა


ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც



საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები. მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

მარაგების ნაწილში ნაჩვენებია ბიოლოგიური აქტივი. ბიოლოგიურ აქტივს წარმოადგენილია ექსტერიერის დეკორატიული მცენარეებით. ბიოლოგიური აქტივის გადაფასება ხორციელდება წლის ბოლოს რეალური ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.



ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით;
ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
ნაგებობები	15-20
მანქანა-დანადგარები	5-10
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-5
	30-50
ელექტრო მოწყობილობები	5-10

აქტივის გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივებისა გატესტვა გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება აქტივის საბალანსო ღირებულება, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში

სავაჭრო ვალდებულება

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

